პროექტი – ჩემი კლიმატმეგობრული სკოლა

საგანი – გეოგრაფია

კლასი – 8 კლასი

თემა: კლიმატის ცვლილება.

რეფლექსია

მიზანი – მოსწავლეებმა უფრო თვალნათლივ წარმოიდგინონ და შეიტყონ კლიმატის ცვლილების შესახებ, მისი გამომწვევი მიზეზებისა და უარყოფითი შედეგების შესახებ. გაიგებენ, რომ კლიმატის ცვლილებით გამოწვეული გლობალური დათბობა კაცობრიობის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური გამოწვევაა, რადგან იგი ემუქრება თავისი უარყოფითი შედეგებით მთელ პლანეტას. ღრმად თუ ჩაუფიქრდებიან, თუ როგორი დიდი წვლილი აქვს ადამიანს კლიმატის ცვლილების პროცესში და როგორ უნდა შეამცირონ საკუთარი ნაკვალევი ამ პროცესში.

ჩამოთვლილი მიზნებიდან გამომდინარე მოსწავლეები დეტალურად გაეცვნენ „გზამკვლევში“ მითითებულ ვიდეოფილმების ბმულში მითითებულ ფილმებს. 1. მსოფლიო ტემპერატურის მატება, 2. ყინულის დნობა (1979 წლიდან), 3. ზღვის დონის მატება, 4. ნახშირორჟანგის ემისია.

ამ ფილმების ნახვის პროცესში მოსწავლეებმა შექმნეს კლიმატის ცვლილების ამსახველი მსოფლიო კონტურული რუკა, შემდეგ მოვახდინეთ ნანახი ფილმების შესახებ დისკუსია, მოსწავლეებმა გამოთქვეს საკუთარი ვარაუდები პლანეტის გადარჩენის შესახებ. მოსწავლეები ასევე გაეცვნენ დეტალურად აფრიკის კონტინენტზე საჰელის გაუდაბნოებას, მის გამომწვევ მიზეზს, გაიგეს, რას ნიშნავს პროექტი „მწვანე კედელი“.

მოსწავლეებმა იმუშავეს კოგნიტურ სქემაზე „მოვლენათა ჯაჭვი“ და ნათლად წარმოიდგინეს, რომ კლიმატის ცვლილება და მისი გამომწვევი მიზეზები და შედეგები ერთ მთლიან ჯაჭვს წარმოადგენს და ერთ-ერთი კომპონენტის ცვლილების დროსაც კი როგორ ურთიერთზემოქმედებენ.

თემის დამუშავებისას მოსწავლეებს განუვითარდათ და დაეუფლნენ გუნდურ მუშაობას, კვლევის უნარს, გაანალიზებას, დასკვნის გამოტანას, ეს უკანასკნელი მდგომარეობის შემდეგში:

მოსწავლეებმა სამუშაოს დამთავრების შემდეგ გამოიტანეს დასკვნა რომ, რადგანაც კლიმატის ცვლილება, მასთან დაკავშირებული ჰაერის ცვლილება და გლობალური დათბობის შედეგად გამოწვეული უარყოფითი შედეგების მთავარი მიზეზი არის ადამიანი თავისი საყოფაცხოვრებო, სამურნეო და სამრეწველო საქმიანობით, მაშ, ისევ ადამიანმა უნდა შეასრულოს მთავარი და აქტიური როლი პლანეტის დაცვასა და გადარჩენაში.

მოსწავლეებმა ასევე ისწავლეს, რომ პლანეტის დაცვაში რადიკალური ცვლილების შეტანა ერთბაშად შეუძლებელია, იგი უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად, ყოველდღიურ ცხოვრებაში ეკოლოგიურად სუფთა ჩვევების გატარებით. გაეცვნენ 5 ძირითად მარტივ რჩევას ზემოაღნიშნულის მისაღწევად.

ვინაიდან ყველა მოსწავლეს ჰქონდა კომპიუტერსა და ინტერნეტზე წვდომა, პროექტზე მუშაობა არ გაუჭირდათ. ყველა აქტივობა მითითებული ნაბიჯების მიხედვით დავამუშავეთ და შესაბამისი დასკვნებიც გამოიტანეს, და ძალიან საინტერესოდ წარიმართა.

მაღლობას ვუხდი ინგლისური ენის პედაგოგს, ნინო კვიციანს, რომ აქტიურად გვეხმარებოდა ინგლისურენოვანი ფილმების დამუშავებაში.